

შაშკინს პრეზიდენტობისათვის ამზადებენ?

გაზეთი “ახალი თაობა” – 11-12 სექტემბერი, № 215, 2010

პრეზიდენტის უმრავლესობასთან შეხვედრისა და მის მიერ კონსტიტუციასთან დაკავშირებით დაფიქსირებული პოზიციის გამო გაჩნდა აზრი, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი მის მიერვე დაგეგმულ მახეში გაება. ამ აზრს არ იზიარებს ექსპერტი ლადო პაპავა. მისი თქმით, ეს კონსტიტუციის პროექტი მიდის ნაციონალური მოძრაობის სრულ კონსტროლქვეშ. ამიტომ ძნელად წარმოსადგენია რაიმე მათ საწინააღმდეგოდ იყოს.

ეკონომიკური ექსპერტი ქვეყანაში არსებულ ვითარებას კრიზისულს უწოდებს, თუმცა მშვიერ ბუნტს ან სოციალურ ფონზე გამოსვლებს გამორიცხავს. პაპავას თქმით, პურმა ჯაჭვური რეაქციით გამოიწვია ყველაფრის გაძვირება. ამ ფონზე კი მთავრობის ქმედება, ცოტა გვიანი რეაქცია იყო. ამიტომ ლადო პაპავას აზრით, სოფლის მეურნეობის მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს.

– დღეს რეალურად ორი მინისტრის პასუხისმგებლობა იკვეთება – კვეფერელის და ხეთაგურის. შეიძლება ეს სულაც არ იყოს მათი პასუხისმგებლობის საკითხი, თუ ისინი შესაბამის ახსნას მისცემენ თავის კოლეგებს მთავრობაში, დეპუტატებს პარლამენტში და ჩვენ, საზოგადოებას. განსაკუთრებით ეს ახსნა სჭირდება ენერგეტიკის მინისტრს თუ ამ გაგანია ზაფხულში, რატომ ითიშებოდა დენი ასე ხშირად. ისე, სოფლის მეურნეობის მინისტრს ბევრი ასახსნელიც არ აქვს. მან თავის თავი თვითონვე ამხილა, როცა საუბრობდა ბაყაყებზე, ნიანგებსა და წიწაკაზე, – აცხადებს ლადო პაპავა.

რაც შეეხება იმას, ვისი კანდიდატურა შეიძლება უფრო მისაღები იყოს ნაცმოძრაობისთვის მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში ბაქრაძის თუ შაშკინის, რომელზეც აქცენტი თავად სააკაშვილმა გააკეთა, ლადო პაპავას ასეთი პოზიცია აქვს:

– დიმიტრი შაშკინის გაპრეზიდენტება ნაკლებ სავარაუდოდ მეჩვენება. მაგრამ შეიძლება სააკაშვილმა შაშკინს უფრო მაღალი თანამდებობა მისცეს, მაგალითად, სანამ ახალი კონსტიტუცია ამოქმედდება ის პრემიერ-მინისტრი გახადოს. ფაქტია, რომ თავისუფლების ინსტიტუტი უკვე დაპირისპირებულია

შაშკინთან და გარკვეული პრობლემებიც შეუქმნეს, რაც საზოგადოების თვალში ბატონი შაშკინის წისქვილზე ასხამს წყალს. ერთი რამ ცხადია: დიმიტრი შაშკინი იმ განათლების მინისტრებს შორის, რომლებიც ვარდების რევოლუციის შემდეგ გვყავდა, ყველაზე უკეთესი მინისტრია. მათ შორის ის არის ყველაზე საქმიანი და ყველაზე კონსტრუქციული. თანაც მომგებიანი გვარის პოლიტიკოსია რუსეთთან ჩვენი დღევანდელი ურთიერთობის თვალსაზრისით. დიმიტრი შაშკინი არის საკმაოდ ძლიერი კოზირი, რომ მაღალ თანამდებობაზე დანიშნო და მოსკოვს თვალში თითო ჩათხარო – შეხედეთ ჩვენ ეთნიკურ რუსებს არ ვებრძვით და საკმაოდ მაღალ თანამდებობებზე ვნიშნავთო. ამიტომ თუ შაშკინს უფრო მაღალ თანამდებობაზე დანიშნავენ, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ეს შეიძლება ძალიანაც კარგი იყოს.

რატომ არ იქნება ქვეყანაში მშვიერი ბუნტი, რატომ აგონებს დღევანდელი ვითარება პაპავას 1978 წელს და დადგება თუ არა მთავრობა ახალი საგარეო ვალის აღების წინაშე? – ამ საკითხების ირგვლივ გავესაუბრეთ ეკონომიკურ ექსპერტ ლადო პაპავას.

– ბატონო ლადო, რამდენად მიიმეა ვითარება ეკონომიკური თვალსაზრისით?

– იმას, თუ რა მდგომარეობაშია ეკონომიკა – ის კრიზისშია. იმიტომ, რომ გლობალური ფინანსური კრიზისის გარდა საქართველოს აქვს ეროვნული ფესვებით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი. ამას დაემატა ახლა სასურსათო პრობლემა, რომელიც გამოიწვია ხორბლის გაძვირებამ. ხანძრებმა რუსეთში დააზარალა ხორბლის ყანები. ამის გამო რუსეთი ობიექტურად გამოეთიშა მსოფლიო ბაზარს. ფასები ავარდა. ამიტომ როცა ვლაპარაკობთ საქართველოში კრიზისზე, ეს ყველაფერი არის კომპლექსში გასათვალისწინებელი.

– იგრძნობა რომ მთავრობა აქტიურად მუშაობს კრიზისის დასაძლევად? მთავრობის მხრიდან მხოლოდ ის ითქვა, ხორბალი საქართველოში უკრაინიდან შემოვა და პანიკის საფუძველი არ არსებობსო.

– უკრაინიდან უნდა შემოვიტანოთ თანაც ისიც 50 პროცენტით გაძვირებული. პური როცა ძვირდება, თითქმის ყველაფერი ძვირდება. იმიტომ, რომ პური არის კვების ძირითადი პროდუქტი ყველაზე დაბალშემოსავლიანი ოჯახებისთვის. მას, ხომ ვერაფრით ვერ ჩაანაცვლებ. პურის გაძვირებამ ჯაჭვური რეაქციით გამოიწვია ყველაფრის გაძვირება. რაც შეეხება მთავრობის ქმედებას, აქ ცოტა გვიანი რეაქცია იყო. რეალურად უნდა დადგეს სოფლის

მეურნეობის მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხი. იმიტომ, რომ სხვადასხვა ბაზრების დროული მოძებნა, მსგავსი სიტუაციის პრევენცია სწორედ სამინისტროს პრეროგატივაა. თუ იქ კვალიფიციური ხალხი მუშაობს, ამას სამინისტრო უნდა აკეთებდეს. გავიხსენოთ, მანამდე რითი იყო დაკავებული ჩვენი სოფლის მეურნეობის მინისტრი: ბაყაყების ექსპორტით, ნიანგების მოშენებით და თურმე წიწაკა უნდა გახდეს მთავარი სასოფლიო-სამეურნეო საექსპორტო პროდუქციაო! ეს ყველაფერი არის ღიმილის მომგვრელი. წესით, პრეზიდენტმა, პრემიერ-მინისტრმა რეალურად უნდა დააყენონ სოფლის მეურნეობის მინისტრ პასუხისმგებლობის საკითხი. როგორ შეიძლება ვერ ხვდებოდე, რომ რუსეთში ხანძარი – ეს არ არის უბრალოდ ხანძარი. თან დაიწვა ხორბლის ყანები. შეგახსენებთ რევანშისტული კმაყოფილება ისმოდა ტელევიზიებიდან რომ რუსეთში ხანძარი იყო. გეგონება ჩვენ ამით რაღაცას ვიგებდით...

– ვითარების უფრო მეტად დამძიმებას, ანუ კრიზისის მეორე ტალღასაც უნდა ველოდოთ?

– ერთი რამ შემიძლია გითხრა: ჯერჯერობით, ამ წლის ბოლომდე საქართველოს აქვს ფინანსური დახმარება. ამ დახმარების რაღაც ნაწილი 2011 წლის პირველ კვარტალშიც გადავა. იმიტომ ამ კუთხით რაიმე პრობლემა ქვეყანას არ ელოდება. ისე მძიმედ ვერ იგრძნობს საზოგადოება კრიზისს, როგორც რეალურად არის, იმიტომ რომ დახმარება შემოდის. იმავედრულად არის კიდევ ერთი პოზიტიური ფაქტორი – შემოდგომა. შემოდგომაზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიწოდება იზრდება და, როგორც წესი, შემოდგომის თვეები არის არაინფლაციური თვეები. აქედან გამომდინარე, ამ წლის ბოლომდე რაღაც განსაკუთრებულ ეკონომიკურ კატაკლიზმებს არ ველი. დანარჩენი, ყველაფერი ჩვენ მთავრობაზეა დამოკიდებული. ერთ საკითხს შევეხოთ, რომელზეც ყველა დუმს. ამ ზაფხულს რამდენჯერ გაითიშა საქართველოში ელექტროენერგია.

– როგორც ამბობენ, ზაფხულში საქართველო თურქეთზე ყიდის ელექტროენერგიას 4 ცენტად. დენის გათიშვის მიზეზი შეიძლება ესეც იყოს.

– უნდა აგვიტხსნან რატომ ქრება დენი ზაფხულში, თანაც ასე ხშირად? გასაკებია, რომ სისტემაში რაღაც ხდება. პარლამენტში უნდა დაიბარონ ენერგეტიკის მინისტრი ხეთაგური და მოუსმინონ მას. დღეს რეალურად ორი მინისტრის პასუხისმგებლობა იკვეთება, თუმცა, თუ ისინი შესაბამის ახსნას

მისცემენ დეპუტატებს პარლამენტში და მთელ საზოგადოებას, ეგებ ჰქონდეთ დამაჯერებელი არგუმენტები...

– ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრის პასუხისმგებლობა ამ ეტაპისთვის არ იკვეთება? ფაქტია, მისი განცხადებები საზოგადოებაში ღიმილს იწვევს და არც პროფესიონალიზმით გამოირჩევა.

– დღეს ყველა რატომღაც ძალიან უარყოფითად არის განწყობილი ვერა ქობალიას მიმართ. მაგრამ მითხარით ეკატერინე შარაშიძე რითი იყო უკეთესი? ან გიორგი არველაძემ ეკონომიკის მინისტრობისას “კრამიტებს რაკა-რუკი დააწყებინა” თუ რა? ან რატომღაც ქობალია პირველ რეველიციის შემდეგ სუპერგანათლებულ რეხვიაშვილზე, ან ყოფილ პრემიერ მგალობლიშვილზე უარესი? ყოფილი მინისტრების ჩამოთვლა შემიძლია გავაგრძელო. ერთადერთი ეკონომისტი ეკონომიკის მინისტრი რევილუციის შემდეგ ლექსო ალექსიშვილი იყო. მას ბევრ რამეში არ ვეთანხმებოდი, მაგრამ ეს ის კაცი იყო, რომელსაც ეკონომიკა ესმოდა. ალექსიშვილის გარდა არც ერთი მინისტრი არ ყოფილა ეკონომისტი და რატომ მაინცდამაინც ვერა ქობალიას ჩავაცივდით? ქობალის ჯერ იმდენი არ გაუფუჭებია, რამდენიც სხვებმა მოასწრეს. ვინც ვერა ქობალია აირჩია და დანიშნა, მან უკეთესად იცის, რისთვის აირჩია და დანიშნა, და რას ელის მისგან. ქობალიას განცხადებებიც არაფრის მთქმელია. იმ განათლების დონით, რაც მას გააჩნია და იმ ფუნქციებით, რაც მის სამინისტროს აქვს, არაფერი განსაკუთრებული არ ხდება. შეგახსენებთ, რომ ეკატერინე შარაშიძეზე იბახდნენ ამერიკაში წამყვან უნივერსიტეტებში იყო ნასწავლიო, რამეში კი ეტყობოდა ეს განსწავლულობა? მერე რა, რომ ქობალიას არ აქვს უმაღლესი დამთავრებული, გგონიათ შარაშიძე უფრო ჭკვიანი იყო? ეკონომიკის მინისტრებს შორის ყველაზე მოლაპარაკე, თუმცა იმავე დონის არაფრის მაქნისი ლაშა უვანია იყო, რა გააკეთა? მისი ფაფხური ხომ მოჩვენებითი იყო.

– ბატონო ლადო, რამდენად შესაძლებელია, რომ მძიმე სოციალურ და ეკონომიკურ ფონზე გამოსვლები დაიწყოს ქვეყანაში? ზოგიერთი მიაჩნებს, რომ შესაძლებელია მშვიერი ბუნტი იყოს.

– არაფერი არ მოხდება. ამ მოსაზრებას არ ვიზიარებ, არანაირი გამოსვლები სოციალური თემატიკით საქართველოში არ იქნება. თუნდაც გარე ვაჭრობის თემა გავისხენოთ, რაც აგვისტოში თბილისში მოხდა. გამოვიდნენ გარე მოვაჭრეები, ვინმემ კი დაუჭირა მათ მხარი? არა! ანუ ცალ-ცალკე ჯგუფების გამოსვლები იქნება, მაგრამ ეს რაიმე სერიოზულში არ გადაიზრდება. საქართველოში სოციალური თემები არასოდეს არ ყოფილა ხალხის მასობრივი

გამოსვლის საფუძველი. ხალხის მასობრივი გამოსვლა ხდება უფრო ეროვნულ, პოლიტიკურ, ზნეობრივ თემებზე. 1978 წელს, როდესაც ხალხმა ქართული ენის საფრთხე დაინახა და გამოვიდა. 1989 წელს ხალხი საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამოვიდა. 2007 წლის ნოემბერში კი ხალხი გამოვიდა შელახული ღირსების დასაცავად და უსამართლობის წინააღმდეგ. ცალკეული ჯგუფები დღეს კი გამოვლენ, მაგრამ ჩემი აზრით, ეს ფართომასშტაბიან პროტესტში ვერ გადაიზრდება. ყოველ შემთხვევაში, ასეთი რამ საქართველოში ჯერ არ ყოფილა.

– რას იტყვით საგარეო ვალებთან მიმართებაში?

– საგარეო ვალი არის არაუმეტესი 35% მთლიანი შიგა პროდუქტის. ეს არ არის საშიში. საშიში არის, თუ ის მის 60%-ს მიაღწევს. აქ პრობლემას სხვადასხვა კუთხითაც უნდა შევხედოთ. სერიოზული პრობლემა შეიძლება გახდეს არასახელმწიფო საგარეო ვალი. არასახელმწიფო ვალს თუ ავიღებთ და სახელმწიფო ვალს დავუმატებთ, ეს მთლიან შიგა პროდუქტს აჭარბებს. ეს შეიძლება დღეს ბიუჯეტის პრობლემა არ არის, მაგრამ ქვეყნის პრობლემა მაინცაა. თუ რომელიმე მსხვილ კომპანიას ვალის გადახდის პრობლემა შეექმნება, მაშინ ხომ სახელმწიფო იძულებული გახდება ჩაერიოს... ცალკე პრობლემა შეგვექმნება 2013 წელს, როცა საგარეო ვალის გადახდა ყველაზე მეტად იქნება კონცენტრირებული. 2013 წელზე მოდის ნახევარმილიარდიანი ევროობლიგაციების გადახდის ვადა. ეს ის ევროობლიგაციებია, რომელიც ქვეყანას მძიმე ტვირთად მემკვიდრეობით ლადო გურგენიძემ დაუტოვა. ამიტომ ჩვენ ორი პრობლემა გვაქვს. ერთი პრობლემაა – რა არის მთლიანობაში ქვეყნის საგარეო ვალი, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორის, რომელიც მთლიან შიგა პროდუქტზე ნაკლები არ არის და ეს გარკვეულ საფრთხეებს ქმნის; და მეორე – როდის უწევს ყველაზე კონცენტრირებულად საგარეო ვალს მომსახურება და გადახდა. 2013 წლის ბიუჯეტი მილიარდ ლარზე მეტს უნდა ითვალისწინებდეს საგარეო ვალის მომსახურებასა და გადახდაზე. ეს კი ფანტასტიკის სფეროა. ეს ასე ვერ იქნება. ამიტომ 2013 წელს საქართველოს მთავრობას სხვა გზა არ ექნება, რომ ახალი საგარეო ვალი აიღოს ძველის დასაფარად.

– ანუ პერსპექტივაში უფრო მძიმე ეკონომიკური და რთული ცხოვრება გველის?

– პერსპექტივაში ქვეყანას კიდევ უფრო დაუმძიმდება საგარეო ვალის ტვირთი.

– ბატონო ლადო, მოდით შევაფასოთ საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვის პროცესი.

– ისეთი განცდა მაქვს, რომ დღეს საქართველოში 1977-78 წლებია. რატომ? ამ პერიოდში იხილებოდა ბრეჟნევის კონსტიტუცია. თქვენ რა გგონიათ, კონსტიტუციას კომუნისტები პირდაპირ იღებდნენ? დაწერდნენ გამოაქვეყნებდნენ, მერე მთელი ქვეყნის მასშტაბით იმართებოდა საჯარო განხილვები. “თეატრალიზებული” განხილვა იმართებოდა საწარმოებში, სამხედრო ნაწილებში, სკოლებში, უნივერსიტეტებში და ა.შ., რომელსაც ესწრებოდნენ რაიკომის, ქალაქკომის ან ცეკას წარმომადგენლები. შემდეგ შენიშვნები გროვდებოდა და ამას ყოვერდღიურ რეჟიმში ვეცნობოდით საინფორმაციო საშუალებებით. დღეს თუ გადავხედავთ ინფორმაციას, რასაც გვაწვდიან ნაციონალური არხები, განცდა მაქვს, რომ 1978 წელი შემობრუნდა. ეს ხომ უკვე გავიარეთ. ჩემთვის გაუგებარია, რატომ არ შეიძლებოდა ამ პროექტის განხილვის დაწყება სექტემბერ-ოქტომბერში, აგვისტო ხომ აქტიურობის კუთხით ყველაზე “მკვდარი” თვეა? საპარლამენტო ოპოზიცია ითხოვდა კონსტიტუციის პროექტის განხილვა სექტემბერში დაწყებულიყო, მაგრამ უმრავლესობა არ დაეთანხმა. მოდით ახლა ის ვთქვათ, დღეს მოქმედი კონსტიტუცია რამდენჯერ დაურღვევია მთავრობას? ანუ ჩვენ არამარტო ის უნდა გვადელვებდეს, როგორ კონსტიტუციურ მოდელს დავწერთ და რას დაამტკიცებს პარლამენტი, არამედ ის, რომ რასაც დაამტკიცებს, მისი აღსრულების ნება იყოს. არაერთი სტატია მაქვს წაკითხული დასავლეთში გამოქვეყნებული უცხოელი ექსპერტების, რომლებიც წერენ, რომ ხდება საქართველოს ლეგალური პუტინიზაცია. ანუ დასავლეთშიც შეიქმნა იმის განცდა, რომ მიდის საქართველოს კონსტიტუციურად განმტკიცებული პუტინიზაცია. დასავლეთში თვლიან, რომ პუტინი არის დეფაქტო პრეზიდენტი და პირველი პირი, ხოლო ჩვენთან ხდება ის, რომ პრემიერ-მინისტრი დე-იურეც იქნება პირველი კაცი. ამიტომ პირველ რიგში მე ვფიქრობ, რომ საკონსტიტუციო კომისიასაც და საქართველოს ხელისუფლებსაც, არამარტო საკუთარი მოსახლეობის წინაშე, არამედ უცხოელ ექსპერტებთან, რომლებიც უცხოურ გამოცემებში მსგავს აზრს ავითარებენ, მართებთ არგუმენტირებული პასუხის გაცემა.

– უმრავლესობასთან შეხვედრისას ისე გამოიკვეთა, თითქოს სააკაშვილმა ევროპის პოზიციას ახალ კონსტიტუციასთან მიმართებაში ხაზი გადაუსხვა.

– მოდით ასე ვთქვათ, 16 სექტემბერს თბილისში ჩამოვლენ ვენეციის კომისიის წარმომადგენლები. ამიტომ რას უჭერს ევროპა მხარს ამას მალე გავიგებთ.

– რატომ გაჩნდა ბოლო დღეებში ისეთი განცხადებები, თითქოს სააკაშვილი ამ კონსტიტუციით დაგებულ მახეში თვითონ გაება? ითქვა თითქოს ამ კონსტიტუციით ვანო მერაბიშვილი გახდება პრემიერი.

– არ ვიცი, ამაზე ვერანაირ კომენტარს ვერ გავაკეთებ. მე ნამდვილად არ ვფიქრობ, რომ სააკაშვილი მახეშია გაბმული. ეს კონსტიტუციის პროექტი მიდის ნაციონალური მოძრაობის სრულ კონტროლქვეშ. ამიტომ ვერც კი წარმომიდგენია, რომ რაიმე მათ საწინააღმდეგო იყოს. ელემენტარულად განხილვა, რომ განხილვაა, ესეც კი ყველაზე მიუღებელ დროს დაინიშნა. ამიტომ არა მგონია, რომ სააკაშვილი რაიმე მახეშია გაბმული.

– თუ სწორად მახსოვს, თქვენ იყავით პირველი, ვინც განაცხადა, რომ სუსტი პრეზიდენტის პირობებში ყველაზე რეალურ საპრეზიდენტო კანდიდატურად დავით ბაქრაძე ჩანს.

– დიახ. სუსტი პრეზიდენტის პირობებში რამდენმე კანდიდატურა იქნება და ერთერთ წარმატებულ კანდიდატად დავასახელებ დავით ბაქრაძე რამდენმე ნიშნის გამო. ჯერ ერთი პოლიტიკაში საკმაოდ მაღალ თანამდებობებზე მუშაობს, ინგლისური კარგად იცის, კარგად იცის დიპლომატიური ურთიერთობები, არის ნაცმოძრაობის ერთერთი სანდო წევრი და ამავდროულად საზოგადოებაში არ იწვევს განსაკუთრებულ უარყოფით რეაქციას. შეიძლება საზოგადოებას ბაქრაძე არც უყვარდეს, მაგრამ მას არავინ აგინებს და არ არავის სძულს.

– თუმცა გამოჩნდა პრეზიდენტობის მეორე კანდიდატურაც – დიმიტრი შაშკინი, რომელზე მინიშნებაც სააკაშვილმა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ სტუდენტებთან შეხვედრაზე გააკეთა.

– დიახ, თუმცა დიმიტრი შაშკინის გაპრეზიდენტება ნაკლებ სავარაუდოდ მენჯენება. მაგრამ შეიძლება სააკაშვილმა შაშკინს უფრო მაღალი თანამდებობაც კი მისცეს, სანამ ახალი კონსტიტუცია ამოქმედდება და ის პრემიერ-მინისტრი გახადოს. ფაქტია, რომ თავისუფლების ინსტიტუტი უკვე დაპირისპირებულია შაშკინთან და მისთვის ეს საზოგადოების თვალში მომგებიანიც კი არის! დიმიტრი შაშკინი იმ განათლების მინისტრებს შორის, რომლებიც ვარდების რევოლუციის შემდეგ იყვნენ, ყველაზე კარგი შთაბეჭდილების დამტოვებელია. ამას გულწრფელად ვამბობ. თანაც გვარიც მომგებიანი აქვს რუსეთთან ჩვენი

დღევანდელი ურთიერთობის თვალსაზრისით. დიმიტრი შაშკინი არის საკმაოდ ძლიერი კოხირი, რომ მაღალ თანამდებობაზე დანიშნო და მოსკოვს თვალში თითო ჩათხარო – შეხედეთ ჩვენ ეთნიკურ რუსებს არ ვებრძვით და საკმაოდ მაღალ თანამდებობებზე ვნიშნავთო. ამიტომ თუ შაშკინს მაღალ თანამდებობაზე დანიშნავენ, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ეს შეიძლება კარგიც იყოს.

– შეიძლება ბაქრაძის ნაცვლად არჩევანი სააკაშვილმა სწორედ შაშკინზე შეაჩეროს?

– არა მგონია. მე გითხარით, რომ პრეზიდენტის ფუნქციის შესასრულებლად, მე დღეს ბაქრაძეზე უკეთეს კანდიდატურას ვერ ვხედავ. შაშკინი კი ამ ახალ კონსტიტუციურ მოდელში შეიძლება ახალი პარლამენტის თავმჯდომარე გახდეს. ვიმეორებ, თუ სააკაშვილი რჩება ქვეყნის ლიდერად, მაშინ დავით ბაქრაძე და დიმიტრი შაშკინი, ჩემი აზრით, ძალიან ლამაზად ერგებიან ამ პოსტებზე. ეს ჩემი მოსაზრებაა, და სულაც არ არის გამორიცხული ვცდებოდე.

შორენა კოწოწაშვილი